



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვერდნითელი რუსუდან გრიგოლის ასული

გვერდნითელი რუსუდან გრიგოლის ასული (15. VI. 1909, თბილისი, -26. I. 1994, იქვე), არქიტექტორ-რესტავრატორი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967).

დაამთავრა საქართველო. ინდუსტრ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი არქიტ. სპეციალობით (1936). 1936-41 მუშაობდა საქართველო. ხელოვნ. მუზეუმ „მეტეხში“, 1941-50- საქართველო. მეცნ. აკად. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში, 1950-იდან - საქართველო. კულტურის სამინისტროს სპეც. სამეცნ. სარესტავრაციო არქიტ. სანარმოო სახელოსნოში (ამჟამად სამეცნ.-საპროექტო ინ-ტი „საქრესტავრაცია“) უფროს არქიტექტორ-რესტავრატორად და საპროექტო განყოფილების უფროსად, 1989-იდან - ისტ., კულტ. და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქიტექტორ-რესტავრატორად. მისი ხელმძღვანელობით აზომილია მრავალი არქიტ. ძეგლი, მას ეკუთვნის გორის ციხის (1951-54, 1986-87; ა. გოგელიასთან, თ. გაბუნიასთან ერთად), ანანურის ციხესიმაგრის კოშკის „შუპოვრის“ და გალავნის ნაწილის (1951-53), დმანისის სიონის კარიბჭის (1954 -55), გერგეტის სამების ეკლესიის (1956), დაბის წმ. გიორგის ეკლესიის (1956-58), ვარძიის სამრეკლოს (1945; 1969-71), თბილ. ანჩისხატის ეკლესიის (1958-61), თბილისში როსტომ მეფის აბანოს (1960-61), წეროვანის (ეკლესია, 1966), ჭაჭკარის დარბაზის (საქართველო. ყოფისა და არქიტ. სახელმწ. მუზეუმი ღია ცის-ქვეშ, 1966-67), ატენის სიონის (1967-68), ხვილიშის ეკლესიის (1969-72; ბოლო სამი - თ. ნემსაძესთან ერთად), ბოლნისის სიონის (1968-70; თ. ნემსაძის მონაწილეობით), ნაჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესიის (1987-88; მ. ანდრიაძესთან, თ. გაბუნიასთან ერთად) და სხვ. რესტავრაციის უკვე განხორციელებული პროექტები. ავტორია მეცნ. ნაშრომებისა, რ-ებშიც აღწერილი და განზოგადებულია სარესტავრაციო სამუშაოების პრაქტიკა, გაანალიზებულია ცალკეულ ძეგლებზე აღდგენითი სამუშაოების მეთოდური მხარეები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბ.: მცხეთა, ტბ., 1962.

ს. კინწრაშვილი

მ. მაისურაძე
